სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1883

ქ. თბილისი

18.12.2014.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე რალუკა-იოანა იფტიმეს ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 27 ნოემბრის №1326 ბრძანების, საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის, ირინე სულხანიშვილის 2014 წლის 10 დეკემბრის №03-40301/13 განცხადების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მ/შ დავით თარხნიშვილის 2014 წლის 17 დეკემბრის №03-40852/14 წარდგინების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. რალუკა-იოანა იფტიმე (რუმინეთის რესპუბლიკის მოქალაქე (პირადი N2910711270046), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სწავლების სამაგისტრო საფეხურის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა აკადემიურ პროგრამაზე ერთი სემესტრის ვადით და სწავლას შეუდგეს 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

2. ეს ბრძანება ბათილია მისი გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს რალუკა-იოანა იფტიმეს პირადი საქმის მოწესრიგება.

4. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში რალუკა-იოანა იფტიმესთვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტ რალუკა-იოანა იფტიმეს.

რექტორი **გიგა ზედანია**